რედაქცია
სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.
ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, къ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი
მთელის წლისა . . . 9 მან. ⁞ სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. ⁞ ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა
სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს რუსულს და სხვა ენებზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

საქართველოს სახელმწიფო ... წიგნის ... პალატა

მიიღება ხელის-მოწერა
მომავალს 1884 წლისათვის გაზეთს
დროებაზედ
(წელიწადი მეცხრამეტე)

თბილისში, «დროების» რედაქციის კანტორაში, სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან.
თელავში, ვანო როსტომაშვილთან.
ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.
ბათუმში, წერა-კითხვის სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.
გორში, საზოგადოების დეპოში, ალალო თუთაევთან.
ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба».*

ფასი ხელის-მოწერისა:

| | |
|---|---|
| წლით (12 თვით) — — 9 მან. | 6 თვით — — 5 მან. |
| 11 თვით — — 8 მ. და 50 კ. | 5 თვით — — 4 მ. და 50 კ. |
| 10 თვით — — 8 მან. | 4 თვით — — 4 მან. |
| 9 თვით — — 7 მ. და 50 კ. | 3 თვით — — 3 მან. |
| 8 თვით — — 7 მან. | 2 თვით — — 2 მან. |
| 7 თვით — — 6 მან. | 1 თვით — — 1 მან. |

სოფლის მასწავლებელთათვის წლით—7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან.

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

## ახალი ხელ-შეკრულობა ომების ასაცილებლად.

**თბილისი, 20 დეკემბერს.**

ამ თვის ექვსს (ახალი სტილით) ერთს ფრიად შესანიშნავს საქმეს დაედო საფუძველი: ჩრდილოეთ—ამერიკის შტატების კონგრესს ოფიციალურად მოხსენდა ამ ქვეყანასა და შვეიცარიის შორის ხელ-შეკრულობა, რომელიც ამბობს, რომ ეს ქვეყნები ყოველს სადაო საქმეს ერთმანერთს შორის გარდაწყვეტენ არა ომით და სისხლის ღვრით, არამედ ამორჩეულ პირთაგან გასამართლებით. ეს შესანიშნავი ხელ-შეკრულობა ორს სახელმწიფოს შორის ძლიერ სასიამოვნო უნდა იყოს იმისთვის, ვინც კი შეიგნო, თუ რა ბარბაროსული საშუალებაა ომი ხალხთა შორებრივი განწყობილების დასადგენად, ან და სადაო საქმის გარდასაწყვეტად. ამ საქმით შვეიცარიამ და ამერიკამ ხალხთა-შორებრივი განწყობილების ისტორიაში დასდვეს საფუძველი ახალის ეპოქისა. ეს მნიშვნელობა აქვს შეერთებულ შტატების და შვეიცარიის ხელ-შეკრულობას, რადგანაც ისეთი რთული სადაო საქმე, რომელიც სისხლის ღვრას მოითხოვს, მათ შორის არ არსებობს და არც მომავალში მოუხდებათ საცილობელი რამე, ამ ორმა რესპუბლიკამ ნათლად უჩვენა ყველას, რომ ომიანობა ვერაფერი საშუალებაა მშვიდობიანობის დამყარებისათვის, რომ მორიგებით და გასამართლებით შესაძლებელია კაცობრიობამ თავიდამ აიცილოს ეს აუარებელი უბედურება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ, თუ ეხლა არა, მომავალში მაინც თან-და-თან სხვებიც მიჰყვებიან შეერთებულ შტატების და შვეიცარიის მაგალითს და დაადგენენ იმ გვარსავე ხელ-შეკრულობას ერთმანერთს შორის.

აზრი შეერთებულ შტატებისა და შვეიცარიის ხელ-შეკრულობისა ერთობ მარტივი და ადვილად გასაგებია; დიდი ხანია, რაც საუკეთესო ნაწილი კაცობრიობისა იმავე აზრს აღიარებდა და აწუხებდა მას კითხვა: «კაცს რად სურს სისხლი კაცისა», მაგრამ საქმე ის არის, რომ ყოველი ჭეშმარიტი აზრი ერთობ ძნელად და გვიან შეისხავს ფრთებს.

შეერთებულმა შტატებმა და შვეიცარიამ დაამტკიცეს, რომ ისინი, მართლადაც, დაწინაურებულნი სახელმწიფოები არიან, იმათ შეუგნიათ, რომ ომი კი არა, არამედ მშვიდობიანობა და ძმური კავშირი ერთმანეთ-შორის არის უმთავრესი პირობა ხალხთა გონებრივი და ზნეობრივი წარმატებისა.

## შინაური ქრონიკა

ჩვენ შევიტყეთ, რომ რამდენსამე პირს შეუტანიათ სწავლისათვის საჭირო ფული იმ შეგირდების სახელობაზედ, რომელნიც მეორე კლასიკური გიმნაზიიდ-

---

**«დროების» ფელეტონი, 20 დეკემბ.**

## ციცია *)

**(მოთხრობა)**

### XXVI

კარგა წვალების შემდეგ, ბექიას ძლივს ეღირსა ქორლუყოს ნახვა, რომელიც ისე დასუსტებულიყო, რომ განძრევის თავი აღარა ჰქონდა.

პირველსავე შესვლაზედ, მოხუცმა სიხარულით ხელები გაიშვირა, ჩაცვივნული და სიცოცხლეს მოკლებული თვალები გაუბძყინდა და სიხარულით წამოიძახა:

— ბექია!

მაგრამ მაშინვე თავი შეიკავა, შეიჭმუხნა შუბლი და მწყემსს ჩაციებით ცქერა დაუწყო, თითქოს ანგარიშსა ჰკითხავდა, ციციას უბედურების გაგონებას მოელოდა.

ამ ცოტა ხანში მოხუცი ისე გამოცვლილიყო, ისე დასჭკნობოდა ჯერედ კარგად-მყოფი სახე და ფერი ისე დაჰკარგოდა, რომ ბექია გაშტერებული, ხმა ამოუღებელი კარებში გახევებულსავით დარჩა.

მოხუცმა ეს სიჩუმე თავის ნაშობის უბედურებად ჩასთვალა და გულ-ჩვილობა უნდოდა დაემალა, თუმცა შეწუხებულს მშობლის გულს თვალებში მორეული ცრემლები ამხელდა.

ქორლუყომ რამდენჯერმე საკითხავად პირი გააღო, მაგრამ ხმის ამოღების მოახლოვებასთან ერთად გულის დუღილი უძლიერდებოდა და ცრემლად დაღვრას ლამობდა. ამისთვის, შესწყვეტდა ხოლმე ლაპარაკს, პირს დაუწყებდა ცმაცუნს და აშკარად ეტყობოდა, რომ ტუჩების ძალზედ მოკუმასთან ერთად ცრემლებსა ჰყლაპავდა.

—რაი მოგსვლია?!—ბექია პირველი მოვიდა გონსა.

—ავად ვიყავ! იმედ გადაწყვეტით უთხრა მოხუცმა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად სვენებით დაუმატა:—რაისთვი ხარ ყუჩად, რად არას მეუბნები?. თუ გგონია ავის გაგონებას გულ ველარ აიტანს?!. ნუ შიშობ... სთქვი... ზღვაში წვეთი რაი იქნების?

— რას უბნობ, «ღთის მადლსა!» მიაშურა ბექიამ.—ციციაი კარგადა ნამუსიანად...

— რაი? — წამოიწია მოხუცმა და, მთლად სმენად გადაქცეული მთრთოლვარე ხელს დაებჯინა.

მოხუცს გაგონილი არა სჯეროდაა, და ეგონა სმენა ღალატობდა.

— შინაა მეთქი... ნამუსიანი დაბრუნდა...

— ნამუსიანი?—გაკვირვებით წამოიძახა მოხუცმა და რაღაცა აზრებისგან გატაცებულმა დაუმატა: სულთი...

— სულთი, სულთი ძმად გაეფიცა...

—- ძმად გაეფიცა!? დაფანტვითვე წარმოსთქვა მოხუცმა და მხოლოდ რაოდენიმე ხანს შემდეგ მიხვდა სასიხარულო სიტყვების მნიშვნელობას.

მოხუცი წამოვარდა, გიჟსავით მოეხვია სასიხარულო ხმის მომტანს და დაუწყო კოცნა და ხვევნა.

ამ აღტაცებულს მდგომარეობაში ისიც შეიტყო, რომ ბექია უკვე მისი სიძე შექნილიყო და მოხუცი თითქმის გაგიჟდა.

დასუსტებული მოხუცი, რომელსაც მღელვარებამ ძლიერად გაულვიძა ძალ-ღონე, მალე დაიქანცა, მოსწყდა და მიღუშვილი მიესვენა ბექიას ხელებს...

### XXVII

ბექიას ბევრი წვალების შემდეგ, ძლივს ჩააბარეს მოხუცი, რომელიც მთაში წაიყვანა და ციციას მზრუნველობით და წმინდა ჰაერის შემწეობით ჩქარა მოვიდა ღონეზედ, გამოკეთდა და გამხიარულდა.

გამოდგა, რომ სილარიბეში აღზრდილი ბექია სახლს უფრო უკეთ უვლიდა, სანამ ქორლუყოს ეკონა. ციცია მომეტებულის მზრუნველობით ექცეოდა თავის მოხუცებულს მამას, სანამ წარსულ დროს და მოხუცის სახეს-კი ყოველთვის კმაყოფილების სიამოვნება დასთამაშებდა.

ერთს დღეს მთელი სახლობა შინ იყო და განსაკუთრებით მხიარულად იყვნენ.

ციცია ბატკნის ყელის მატყლის საჩოხე ტოლსა ჰქსოვდა, ბექია-კი ელაზღანდარებოდა და არ უსვენებდა. ყმაწვილი ქალი წითლდებოდა და რცხვენოდა, თუმცა გულით უნდოდა სასიამოვნო ალერსი გაგძელებულიყო. მოხუცი ბედნიერებით და კმაყოფილებით უკრავდა ფანდურს, და შესცქეროდა შვილების ბედნიერებას.

ფანდურთან ერთად, თუმცა მიხრწნილის, ხნიერებისგან დაღლილის, მაგრამ გრძნობიერის ხმით «ხარისა და კაცის» ლექსს დამღეროდა. ერთბაშად კარებიდგან მოისმა ძახილი, რომელმაც ბექია წამოახტუნა, და სტუმარს მიეგება.

რამდენიმე ხანს შემდეგ, სახლში შემოვიდა მამასახლისი, რომელიც მიუბრუნდა ქორლუყოს და უთხრა:

— პრისტავი მოვიდა და გიბძანებსო.

— პრისტავს ჩემგან რაი უნდა?

— მიკიტნის ვალი რაიმ გმართებია და ის უნდა გამოგართვას.

— რომელი მიკიტნისა?

— აბა, რაი ვიცი.

— იარე იქა,—ჩაურთო ბექიამ,— და იქ გაიგებ.

—- რაი ვქნა, მე არც ვისი ვალი არ მართებს!

ამ სიტყვებით მოხუცმა გასწია პრისტავისკენ, რომელიც «აპრაკუნე» აღმოჩნდა და ქორლუყოს მოუთმენლად ელოდა.

— ბიჭო, ეგრე უნდა?.. მისვლის უმალ, წარბებ-შეჭმუხნილმა, წარმოსთქვა «აპრაკუნემ».

— რას მიბძანებ, შენი ჭირიმე? უპასუხა გაკვირვებულმა მოხუცმა.

— ვალების აღება იცი და გასწორება-კი არა? შეუტია «აპრაკუნემ» და მაშინვე დაუმატა:—აძლევ ფულს თუ არა.

— ჭეეშეს რომ ვისესხე, იმ ფულ-

---

*) იხ. «დროება» № 254.

გან გამორიცხულნი იყვნენ ფულის შეუ-ტანებლობისათვის.

17 დეკემბერს თ. დონდუკოვ-კორსაკოვი პეტერბურგში წავიდა.

პეტერბურგიდამ მოსულა ხმანება, რომ პრიკაზში დაგირავებული მამულები პირველ კატეგორიაში მოქცეულ თავად-აზნაურობისა უნდა ვაჭრობით(ტორგით) გაიყიდოს. პირველ კატეგორიაში ჩარიცხულია ოც-და-ათამდე სხვებზედ უფრო შეძლებული მემამულე. რაც შეეხება სხვა კატეგორიების მამულებს, მათ შესახებ განკარგულება მასუკან მოხდება თუმცა ამას წინად სარწმუნო ცნობებიდგან შევატყობინეთ მკითხველებს, რომ მამა-პაპეულს მამულებს ეპატიებათ პრიკაზის ვალიო, მაგრამ ეს განკარგულება ეხლა სრულებით სხვაფრივ შეიცვალა.

ყვირილიდგანა გვწერენ: «ჩვენი დაბა ყვირილა აივსო შენობებით; ყველა შენობას აკეთებს და პლანს კი არავინ უყურებს. რკინის ხიდიც შესრულდა, თუმცა ვიწრო არის. ამ ხიდიდგან მოკიდებული ცალ პირად არის დაყოლებული დუქნები ერთ ვერსტ ნახევარზე. ეს დუქნები ერთმანეთში არეულ-დარეულა, ასე რომ ორი სამი რომ ჩითეულობისა იყოს, შემდეგ ყასაბი ზის, მერე მეწვრიმალე, მერე კიდევ ჩითეულობა აწყვია და სხვ. ამასთანავე დიდი უსუფთაობაა, დუქნების წინ ტბები სდგას და სამაგალი სუნი არის. ხიდიდგან მოკიდებული ყვირილას წყალი ისე გაუწმინდურებული და გაფუჩეებულია, რომ მის მნახველს მთის წყაროს დალევაც შეეძაგება, რა გინდათ, რომ შიგ არ ეყაროს: საქონლის შიგნეული, მაღლის მძოვრები, და სხვ.

ყვირილაში რომ ავაზაკობა არის, ღმერთმა დიდი ქალაქები დაიფაროს. ასე გასინჯეთ, წარსულ კვირაში მომრიგებელ მოსამართლის კანცელარიიდგან გამომძიებლის ნაწარმოები საქმეები სულ ერთიანად მოიპარეს თავის წიგნებით».

ფოთიდამ გვწერენ: «აქედამ ბათუმის რკინის გზის სტანცია სუფსამდის სულ ოცი ვერსტია, და ამ გზაზედ ეხლა დროგებიდ და ფაეტონებით დადიან ბათუმში მიმავალნი. ეს გზა მხოლოდ ერთ ადგილას არის წამხდარი სამი ვერსტის სიგრძეზედ და ეს რომ გაკეთდეს მალიან გაადვილდება ბათუმთან მისვლა-მოსვლა.

«ამ დღეებში ჩვენის ქალაქის თავს ბ. გახრამოვს მოუვიდა ტელეგრამა, რომ აშენდეს მეორე ხიდი იქ, სადაც ეხლა საფილუკო არის».

ს. დოუბნიდამ (თბილისის მაზრა) გვწერენ: «ყველას გაეგონება, უმეტესად ჟურნალ-გაზეთების მკითხველებს, რომ ამ ჟამად ავაზაკობამ და ცუდმა ყოფა ქცევამ მალიან იკლო თიანეთში, სადაც უწინ ხშირი იყო ქურდობა, თიკების წვა, კაცის კვლა და სხვ. ეს ყველაფერი ზორჩალოს მაზრის უფროსის თ. ავხაზის მეოხებით მოხდა, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, თბილისის მახლობელ სოფლებში ხშირად მოხდება ხოლმე სხვა-და სხვა უწესოება,—აი მაგალითები: თბილისიდამ ოცს ვერსზედ მდებარებს სოფელი დოუბანი; ამ ხსენებულ სოფელში იმყოფება სამი წლის გლეხ-კაცის ქვრივი დედაკაცი, რომელ საც გათხოვება მოუწადნია. სოფლის კუმისიდგან აღმოჩენილა მისი მთხოვნელი გლეხი ვაცი და ქვრივის ნება-რთვით ხუთი ექვსი კაცით მისულა სოფლის დოუბანში და დაუნიშნავს ხსენებული ქვრივი. ერთს ტაბახმელელ კაცს გაუგია ეს ამბავი და მაშინვე თორმეტის კაცით ტაბახმელიდგან დოუბანში წასულა ქვრივის მოსატაცებლად. როდესაც მისულან და გაუგიათ ნიშნობის გათავება, შესცვივნიან ქვრივს სახლში, შემდგარა აყალმაყალი, ხანჯლების ტრიალი; გაუგია სოფელს, მაგრამ, რადგანაც ზოგნი მცნობები ყოფილან, არ დაუჭერიათ და სოფლიდგან განდევნა უკმარებიათ.

«იმავე რიცხვში, სოფლის გაშლოვანში, ღამის ცხრა საათზედ, ერთს სადოდავს გლეხ კაცს გადუწვეს ათი ურემი თივა უცნობმა მტრებმა.

«ცხრას დეკემბერს, სოფლის ერტისში აზნაურის ანდრია გაბაშვილის სახლში შევიდნენ ქურდები; სახლის პატრონნი ამ ჟამად შინ არა ყოფილიყო. გაეგო მოურავს, დაეწყო ყვირილი, ყვირილზედ მეზობლები მიშველებოდნენ და ქურდებს გაშლოვნის გზისკენ თავისთვის კშველათ.

«იმედი გვაქვს ამ უწესოებას მიაქცევს მთავრობა ყურადღებას, ჯეროვანს ღონისძიებას იხმარს მის მოსასპობად».

ჩვენა გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ 6 დეკემბერს, მეორე თუმანიშვილის ქუჩაზე, ავალოვის სახლებში ქართული დრამატიული სცენის მოყვარეთაგან იყო წარმოდგენილი მე 3, 4 და 5 მოქმედება დრამისა «თამარ ბატონიშვილი» და ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი ზ. ანტონოვისა «ცოლი თუ გინდა ეს არის» ერთი მოსწავლე ყმაწვილის სასარგებლოდ, სახელდობრ გოლოვნიასი. ამ წარმოდგენიდგან შემოვიდა სულ 119 მ. 30 კ. დაიხარჯა: ზალის ქირა 12 მ., მუზიკას 15 მ., დუდუკს 4 მ., დეკორაციისა 1 მ. 60 კ., მსახურს 1 მ., ორ გოროდოვოის 1 მ., აფიშების და ბილეთების დასაბეჭდი 4 მ. 50 კ., წვრილი ხარჯი 3 მ. 40 კ. სულ ხარჯი 42 მ. 50 კ. დანარჩენი წმინდა შემოსავალი 76 მ. 80 კ. იქმნა გაგზავნილი გოლოვნიისადმი. ამ კეთილის საქმისათვის დიდ მადლობას უძღვნიან მოთავენი ყველა მონაწილეთა.

---

## უცხოეთი

— აფრიკის საქმეებმა იმ წერტილამდინ მიაღწიეს, რომ ინგლისი უეჭველად უნდა ჩაერიოს ეგვიპტის საქმეებში და აი

---

სა ბძანებ? გაკვირვებით იკითხა ძორლუყომ.—ის ფული აკი ჩავუტანე!... შენი რისხვა არა მაქვს, რა წამს ძაუგით მოვედ, მაშინვე ჩავუტანე და მივეცი... მოწმებიცა მყვანან.

— მიეცი და ბარათი-კი არ გამოართვი? დაცინვით შეხედა პრისტავის მოადგილემ.

— ბარათი არ გამომირთმევია, შენი ჭირიმე... ბარათი თან არა ჰქონდა.

— ჩაჩუმდი! შეუტია მბძანებელმა.—ვის ატყუებ, ერთი მითხარ?.. ვინ არის შენი მოსატყუარი?

— არა, შენი რისხვა არა მაქვს.

— კმარა მეთქი! კიდევ შეუტია «აპრაკუნემ» და მამასახლისს მიუბრუნდა.

— სადა ჰყავს ცხვარი, მიჩვენე... უნდა ავუწერო.

ძორლუყომ ბევრი იფიცა, ბევრი იცა თავში, მოიყვანა მოწმები, რომელნიც ფულის გასწორების დროს დასწრებოდნენ, მაგრამ ამაოდ.—რავინ უჯერებდა. «აპრაკუნემაც» ძალიან კარგად იცოდა, რომ მოხუცი ნამდვილად გასწორებოდა ამ ვალს, რადგანაც მიკიტნისაგან ის ფული თითონ მიიღო და ეხლაც თუმცა მიკიტნისა სახელით მოქმედებდა, მაგრამ სარგებლობა-კი მარტო თითონ უნდა რგებოდა.

— შენი ჭირიმე, ბატონო, ნუ დაგვღუპამ!.. მარტო ეორიოდ ცხორანი არის ჩვენი საცხოვრებელი და ეგეც რომ წაგვართვა, რაღა ეშმაკმა უნდა გვაცხოვროს?

— როგორ თუ წაგართვა?.. ეგ რა მითხარ, როგორ გამიბედე?.. გაცხარდა «აპრაკუნე» და ბოლოს დაუმატა:—იქნება მართალს ამბობდე, მაგრამ რაკი ბარათი არ გამოგირთმევია, კანონი ფულის ანგარიშში მოწმებს არ იღებს... ფული სულ შტრაფებით ათას სამას თუმნამდინ არის... უნდა გადაიხადო, მეტი ღონე არ არის.

— რაი?—იკითხა ზარ-დაცემულმა მოხუცმა,—ათას სამასი თუმანი?.. ათას სამასი თუმანი საით მოვიდა?.. სულ სამოც თუმნამდინ არ მემართა?

— მართალია, თავნი ვალი ეგ ყოფილა. შენ ორ კვირას შემდეგ უნდა გადაგეხადა და დაგიგვიანია... ეხლა შტრაფებით და პირობის ბარათის ძალით სულ ათას შვიდასი თუმანი შესდგება.

მოხევე გაფითრდა და პირში სიტყვა გაუწყდა; რაღა ეთქვა, როგორ შეხვეწნოდა თავის მსაჯულს, რომელშიაც თავის დაუძინარს და მასთან უსამართლო მტერსა ჰხედავდა. ძორლუყო გრძნობდა რომ მშვიდობიანის ცხოვრების იმედი მოხუცების დროს ოცნებად გადაჰქცეოდა. დღეიდგან ღარიბდებოდა და ლუკმის საშოვნელად ხელ-გაშვერილი მაწანწალა უნდა შექნილიყო. იმან შეიხედა მაღლა, მერე მოავლო იქ მყოფს ხალხს თვალი, თითქოს ნუგეშის მიმცემს ეძებდა ვისმე, მაგრამ ვერავის პოულობდა. გაყუჩებული, დაჩუმებული ხალხი ძალას დაემორჩილებინა და პირში სიტყვა გაეწყვიტა.

მოხუცი ბევრით უფრო ადვილად აიტანდა, რომ საქონელი «დურალს», ჭირს, ანუ სხვა რომელსამე შემთხვევას გაეწყვიტა, მაგრამ სრულიად სხვა მოქმედება ჰქონდა, როდესაც სამართალი, კანონი და მასთან იმათი ამსრულებელნი მშობლის ზრუნვის მაგიერ, უგულო დედინაცვლად გადაჰქცეოდნენ და შეუწყალებლად ეკიდებოდნენ. მოხევეს გონება აერია, თავსბრუ დაეხვა და შინ წასასვლელად გაბრუნდა, მაგრამ პირველისავე ნაბიჯის გადადგმაზედ ყურებმა წივილი დაუწყო, თვალთ დაუბნელდა, დაპარბაცდა. შესდგა, გაიარა კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და გონება-მიხდილი იქავ მინდორზედ გაიშალა.

ხალხი მოეხვია მოსაბრუნებლად, მაგრამ მოხუცი თვალებს უაზროდ ატრიალებდა და გახევებული ენა სიტყვების მაგიერ მარტო ლუღლუღს ახერხებდა.

«აპრაკუნე» კი მამასახლისით, «მცოდნე დამსწრებით» და ყაზახებით წავიდა მთაში, სადაც ცხვარი აწერა და ძვეშეს «ვაჭრობით» (ტორგით) გასასყიდად გაგზავნა.

ის იყო «აპრაკუნე» ძლივს მორჩა თავის საქმეს, როდესაც იმასთან მივიდა ბექია. ბექია მოხუცისა და პრისტავის ლაპარაკს არ დასწრებოდა და ეს ამბავი მხოლოდ მაშინ გაეგო, როდესაც ნაბადზედ დასვენებული მოხუცი კარებზედ მიეყვანებინათ.

ბექიამ ყველაფერი გაიგო და გულმა ვ ღარ გაუძლო, რომ «აპრაკუნესთან» არ მოელაპარაკა.

— სად მიგყ ევთ «ცხორი»?—იკითხა მისვლის უმალ.

— გასასყიდად,—მკაცრად უპასუხა «აპრაკუნემ».

— მოკვდეს ბექია, თუ აგრე დაგანებოთ,—შესჭყივლა იმან და ცხვარს წინ გადაუდგა.

«აპრაკუნეს» გაუკვირდა მოხევის სითამამე და გასწია იმისკენ.

— შენ როგორა ბედამ, რომ ხემწიფის კანონს წინ უდგები?

— ხემწიფის კანონს-კი არა, შენს უსამართლობას, შე ულმერთო, შენა!

«აპრაკუნე» აიფხორა და გაექანა.

— არ მოხვიდე, ღვთის მადლმა, თორემ სისხლი მოდგა ყელში!..

«აპრაკუნემ» შეხედა, შენიშნა, რომ ბექია არ ეხუმრებოდა, მისვლა ველარ გაბედა და შორიდგან შეუტია:

— ვის უბედავ, შე ჭკუა-დაბნეულო!?

— აბა, მოდი და გიჩვენებ!

— «აპრაკუნემ» თვალით ანიშნა ყაზახებს, რომელნიც გამგელებულსავით ელოდენ უფროსის ბძანებას. ისინი მისცვივდენ სწრაფად, მაგრამ ბექიასაც თვალი ფთხილად ეჭირა. იგი მარდად უკუ-გახტა და გაშიშვლებული თოფი მიუღერა იმას, ვინც ყველაზედ მეტად ეტანებოდა.

— ძაღლო! შენ რაი სარგებელი გაქვს, რომ მოიბძვი?—შესძახა მოხევემ და «აპრაკუნეზედ» უჩვენა, ეგ მოვიდეს, ეგა. ფული მაგას ერგების და ჯაფაც მაგან უნდა გასწიოს.

ყაზახები რაოდენსამე ხანს შეჯგუფდენ და შემკრთალთ ბიჯი ველარ გადაედგათ, მაგრამ რაკი ცოტაოდნად დამშვიდდენ და ნახეს, რომ მხოლოდ ერთს კაცთანა აქვთ საქმე, შერცხვათ და ხელ-ახლად შეუტიეს.

გავარდა თოფი და ერთი ყაზახი დაეცა, მაგრამ დანარჩენები ვერ შეაყენა ამ შემთხვევამ და სისხლის დანახვაზედ თითქოს უფრო გაკაპასდენ.

ბექიამ იგრძნო, რომ თოფი აღარას უშველიდა, რადგანაც გატენას ველარ მოასწრობდა, და ამისთვის შორს გასტყორცნა, გაიძრო ხანჯალი და სისხლ-მოწყურებულსავით გამოექანა.

ხალხი მოეხვია, შეჯგუფდა, თითქოს ბურთად შეიკრაო, და რაოდენიმე ხანს მარტო კვნესა, ლანძღვა და იარაღის ერთმანერთზედ შეჯახების ხმა ისმოდა.

გაიარა წუთმაც და ხალხი ისევ გაიშალა მინდორზედ. დარჩა მარტო სამი ყაზახი და ბექია, რომელიც გუფთასავით აეჩეხათ.

ყველასათვის სიკვდილის უკანასკნელს წუთებს უსიამოვნოდ დაემა-

ამ საგნის შესახებ დიდი ბაასი აქვთ გამართული უცხოეთელ ჟურნალ-გაზეთებს. თავი-და-თავი საგანი იმათის ბაასისა არის ის, თუ ევროპის სახელმწიფონი როგორის თვალით შეხედავენ, როგორა სცნობენ ინგლისის მმართებლობის ამ გვარს მოქმედებას. ჩვენის აზრით, უადგილო არ იქნება ერთი-ორი სიტყვით გამოვხატოთ ის—თუ რას ფიქრობენ უცხოეთელი ჟურნალ-გაზეთები განსაკუთრებით რუსეთის პოლიტიკაზე ეგვიპტის საქმეების შესახებ. როგორათაც ინგლისური, აგრეთვე ჰენური გაზეთებიც ნამდვილად ამტკიცებენ, ვითომც რუსეთის მმართებლობას გარდაწყვეტილი ჰქონდეს, თუ, ვინიცობაა, ინგლისი ჩაერია ეგვიპტის საქმეებში, იმ პოლიტიკის გზას დაადგეს, რომელსაც შარშან მისდევდა, ინგლისის ეგვიპტესთან ომის დროს; რუსეთის მმართებლობა მაშინაც დარწმუნებული იყო და ეხლაცა სწამს, რომ ეგვიპტის საქმეებს, გარდა ადგილობრივი მნიშვნელობისა, საზოგადო ევროპიული მნიშვნელობაცა აქვს, და ამისა გამო, მათი გარდაწყვეტა უთუოდ ევროპიელთა სახელმწიფოთა თანხმობით უნდა მოხდეს. თუ ინგლისი ჯერ-ჯერობით მარტო იმოქმედებს და სხვა სახელმწიფოების დახმარებას საჭიროდ არ დაინახავს, მაგრამ აღიარებს კი, რომ სხვა სახელმწიფოთაცა აქვსთ ეგვიპტის საქმეების გარდაწყვეტის უფლება,— მაშინ რუსეთი ამით დაკმაყოფილდება და უშფოთველად მოიცდის იმ დრომდის, ვიდრემდის ინგლისი სრულიად არ მოსპობს ამ გაჭირვებულს მდგომარეობას, რიგზე არ მოაწყობს ეგვიპტის ყველა საქმეებს და ჯეროვანს წესიერებას არ დაამყარებს; მაშინ კი ისიც მიიღებს სხვა სახელმწიფოებთან ერთად საზოგადო მონაწილეობას ეგვიპტის საქმეების დაბოლოვებით გარდაწყვეტაში. რუსეთის მმართებლობის ამ გვარი ნდობა აამებს გლადსტონის პოლიტიკისადმი, უეჭველია, საზოგადოდ ინგლისის ლიბერალურ წრეებსა და ძალიან ასიამოვნებს თვით ლონდონის მმართებლობასაც. ეს გარემოება ამაზე ნაკლებს სასიამოვნო შთაბეჭდილებას არც ბერლინის მმართებლობაზე მოახდენს, რადგანაც ბერლინში, როგორც იქაური გაზეთებს ეტყობათ, ძალიან უკვირთ და სწყინთ კიდეცა, რომ ინგლისი აქამდინ იცდის და ჯეროვანს ზომებს არ ხმარობს მახდის წინააღმდეგ.

— მახდის მოქმედებას და იმის გაძლიერებას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ მაჰმადიანნი, დიდი ხანია, მოელიან წინასწარმეტყველს, რომელიც მექქადამ უნდა მოვიდეს და აღადგინოს მაჰმადიან ხალხთა უწინდელი დიდება და ძლიერება. ამ წინასწარმეტყველის მოსვლა თვით მაჰმადმა იწინასწარმეტყველა.

— მახდის მოქმედება და საზოგადოდ ეგვიპტის საქმეების არევ-დარევა განსაკუთრებით ოსმალეთის სახელმწიფოსათვის არის მავნე და დამღუპველი. აი ამის შესახებ რას იწერებიან «ს.-პეტერბურგის უწყებანი»:

«ინგლისის მიერ ეგვიპტის დაპყრობამ აშკარად დაამტკიცა, რომ მაჰმადიანნი ხალხნი ძალიან გულ-გრილად ეპყრობიან ოსმალეთის იმპერიის ბედ-იღბალსა. არც ერთს «მართლ-მორწმუნე» ტომს არ უფიქრია თავის გამოდება ხალიფის გაქელილ უფლებათა დასაცველად,— არ უფიქრია იმიტომ, რომ ოსმალეთის ვრცელ სახელმწიფოში არ მოიპოვება იმისთანა კუთხე, რომლის მცხოვრებლებსაც მძიმე ტვირთად არ აწვეს ოსმალეთის გამგეობა. თუ ეგვიპტის დაკარგვა ასე გულ-გრილად მიიღეს პორტის ქვეშევრდომ ხალხთა, სუდანელი ცრუ-წინასწარმეტყველის ქადაგება უფრო ძლიერ იმოქმედებს მათზე, უფრო აღძრავს მათში დაფარულს მტრობას ოსმალო-მტარვალთადმი და აშკარად დააწყებინებს წინააღმდეგობას. ნიშანი საზოგადო აჯანყებისა უკვე ეხლანდებათ შეშინებულ ფაშებს და შესაძლებელია, რომ ეს გარემოება იყოს მიზეზი იმ ცირკულიარის გამოცემისა, რომელშიაც ამ დღეებში გვაუწყა განზრახვა სულთანისა შესახებ თვისი იმპერიის ადმინისტრატიული წყობილების შეცვლისა.

«ძნელი არ არის წინადვე მიხვდეს კაცი—ამ ცირკულიარის შემდეგ მართლა დადგება ერა ოსმალეთის განახლებისა, თუ ისიც მრავალთა მისებრივ დოკუმენტთა თანა განისვენებს არქივის მტვერში?»

# ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

17 დეკემბერს.

პეტერბურგი. უკანასკნელ დღეებში ხელმწიფე იმპერატორი კარგად შეიქმნა, თუმცა მისი დიდებულება აქამდინ სასახლიდამ არ გამოდის; მკლავში ტკივილები თითქმის სრულიად აღარა აქვს; სიმსივნე ძალიან ცოტა-ღა დარჩა; სრულიად მოსვენებით სძინავს; ხელმწიფე, რაც ავად არის, ყოველთვის იღებს მინისტრებს და ისმენს მათს მოხსენებას.

ჟურნალს «რუსსკაია მისლ»-ს პირველი გაფრთხილება გამოეცხადა უკანასკნელს დროს მასში დაბეჭდილი წერილებისთვის, რომელნიც ამტკიცებენ მისს მავნე მიმართულებას; ეს მიმართულება ძალიან აშკარად სჩანს, სხვათა შორის, წერილში: «პეტერბურგის წერილები», რომელიც დეკემბრის წიგნშია დაბეჭდილი.

როსსიცკის ავად-მყოფობის გამო, ინტენდანტების საქმე გადიდვა იმის მორჩენამდის.

ჰამბურგი. გუშინ პარიჟიდამ მო-

---

ხინჯებინა პირისახეები; ბეჟიას სახეზედ რაღაცა მაყვედრებელი ღიმილი დასთამაშებდა; ნახევრად გაღებული ქუთუთოებიდგან გამოიყურებოდენ სიცოცხლეს მოკლებული და ერთს ალაგს მიჩერებული თვალები, რომელნიც თითქოს ხალხს მუქარას სთხოვდენ ამ ულმერთო საქციელისთვის.

ცოტა ხანს შემდეგ, დახოცილებს ყარაულები მოაყენეს, რათა გამომძიებელის მოსვლამდის არავისთვის დაენებებინათ და «აპრაკუნე» დანარჩენის ყაზახებით და ცხვრით გამარჯვებული შეშისკენ წავიდა.

დამშვიდებულს სინიდისს იმისთვის ერთხელ არ წაუჩურჩულებია ყურში, რომ დღევანდელი სისხლის ღვრა იმას ედებოდა კისრად.

მართალია, ერთხელ-ორჯელ შენანების მზგავსმა გრძნობამ გაურბინა გულში და წამოიძახა:

— რაზედ მოვაკვლევინე თავი!?... მაგრამ მაშინვე პირადი ანგარიში გაერია საქმეში და დაუმატა: --სამსახურიდგან კი არ გადამაყენონ!?... მაგრამ ჩქარა ისევ დამშვიდდა და ღიმილით დააბოლოვა:—ყველასათვის თუ ჩვენ გადაგვხდა, ერიჰა!..

ამ სიტყვებით «აპრაკუნემ» ცხენს მათრახი გადაუქნია და შეუდგა ანგარიშს,—ცხვრის გასყიდვით რამდენს სარგებელს ნახავდა, იმათი ნაფასური ვალს აუდგებოდა თუ არა, და მორლუყოს გასასყიდი ხომ აღარა მოეპოებოდა-რა?...

მოხუცი კი იტანჯებოდა წარმოუთქმელის ტკივილებით, რადგანაც თავის ნაღველი ვერ წარმოეთქვა და რასაცა ჰგრძნობდა, გულში უნდა დაეტრიალებინა, გულში უნდა დაემარხა.

ყველაზედ მეტად გულს უწამლავდა ციციას ცქერა, რომელიც თუმცა არა ტიროდა, არა წიოდა და კიოდა, მაგრამ მთლად ჩამომდნარიყო, თვალები ჩასცვივნოდა და გულში დატრიალებულს ცეცხლს ზეზეურ ჩამოეხმო.

მოხუცმა დიდხანს ვერ შესძლო უბედურის ცქერა, საიათსავით გაწვრილებული გული ამ უკანასკნელს უბედურებას-ღა ელოდა, რომ გაწყვეტილიყო და მოსვენება ცივს გაყინულს სამარეში ეპოვა.

ციცია დარჩა სრულიად უპატრონო, გაღარიბებული, ულუკმა პურო. ამ დღიდგან იმის გულს მოსვენება აღარ უპოვია, გონებას გულ-მწვავე ფიქრები აღარ მოშორებია და სახეს აღარ შეხვედრია ღიმილი.

დადიოდა სოფელში სახლიდგან სახლში, სადაც გულკეთილი მეზობლები ცდილობდენ მის გართობას, გამხიარულებას, მაგრამ მათი მეცადინეობა ამაოდ რჩებოდა.

შავად და ბნელად მიდიოდა უდროვოდ დაობლებულის დღეები, რადგან წარსულშიაც და მომავალშიაც მხოლოდ იმოდენა მწუხარება ეხატებოდა.

ერთს ზამთრის დღეს, ცა ძალზედ შეჭმუხვნილიყო, გაბადრულიყო და არე-მარე მთლად შავად მოებურა. მზის ჩასვლას უფრო ძალზედ და სევდიანად ჩამოებნელებინა. ჩრდილოეთის ქარი წივილით და ზუზუნით მოჰქროდა, დედა-მიწიდგან ჰგვიდა წვრილს ხორხოშელას მსგავსს თოვლსა, ატრიალებდა ჰაერში და წარმოუთქმელის ძალით აყრიდა ყველას, რაც კი წინ შეხვდებოდა. წუთი არ გაივლიდა, რომ მთის წვერებზედ მიყრილი თოვლი სიმძიმეს არ დაეძლია, არ გადმოშლილიყო და კაცის დამაყრუებელის გრგვინვით და ქუხილით ხევებზედ არ დაქანებულიყო.

სწორედ ამ დროს, იქნებოდა შუა ღამე, როდესაც ციცია კერას პირს იჯდა და გათოშილს ხელებს თბილს ნაცარს უშვერდა. იმის გაცრეცილი სახე, ჩქარ-ჩქარი ცახცახი აშკარად ამტკიცებდა, რომ მეტის-მეტად სციოდა და ვერ გამთბარიყო. ფარღალალა ერდოდგან და ჩამონგრეულის ბანიდგან განუწყვეტლივ თოვლი ჩამოდიოდა და კიდევ უფრო ამცივნებდა ისედაც გათოშილს ციციას.

ერთბაშად კარები შეინძრა და წყნარი კაკუნი მოისმა. ციცია შეკრთა, შეშინებული წამოხტა და იკითხა:

— ვინა ხარ?

— ძმა.

ამ ხმაზედ ციციას გადაავიწყდა ყოველისფერი და საჩქაროდ გაქანდა, გააღო კარი და ტირილით კისერზედ გადაეხვია ახლად შემოსულს კაცს, რომელიც ნაბადსა და ყაბალახში შეხვეული იყო.

— ძალოუ! რაი უყავ ჩემს ძმასა?

— მოჰკლეს.

— აქამდინ რად არ შემატყობინე.

— ვილა მყვანდა, ვის გამოვგზავნიდი?

მოსულმა გადიგდო ყაბალახი და მწარედ ამოიოხრა.

— ვის მოუთხოვო იმის სისხლი?— ჰკითხა ახლად მოსულმა.

— აბა, რაი ვიცი!.. ამბობენ პრისტავმა მოკლაო.

— სადაა პრისტავი?

— არ ვიცი.

— რაისთვი არ იცი?... მტერს ეგრე ადვენებ თოლ-ყურსა? წამოაყვედრა ახლად მოსულმა.

სულთი!... დაიწყო ქალმა და ხმაში კანკალი დაეტყო. — მიჩვენე და მანახვე ჩვენი მოსისხლე და კბილებით დავგლეჯ, ფჩხილებით გავუფათრავ მკერდს, რომ გული ამოვუღო, დავეწაფო, გავძღე იმის სისხლით.

— მაშ წავიდეთ, ჩქარა, წავიდეთ!... სისხლი გადახდილია... სულთი ჩეჩნელია და დიდხანს სისხლს არავის შეარჩენდა.

— მართლა? სიხარულით წამოიძახა ქალმა.

— სულთის ენა ერთი აქვს და სიტყვაც; სულთი ტყუილს არ გეტყვის. ამ სიტყვებზედ ქალი ხელ-ახლად გადეხვია ჩეჩნელს და კმაყოფილების ტირილით ჩაეკრო გულში.

ამ მიკარებამ სულთის გაუღვიძა შეწყვეტილი გრძნობა, მოაგონა, რომ მისთვის ბედნიერება კიდევ შესაძლებელი იყო. იმან ჩაიკრა ქალი გულში, თრთოლვით დაეკონა ტუჩებზედ და წყნარად ჩასჩურჩულა:

— წავიდეთ, სიცოცხლე კიდევ შესაძლებელია.

ამ სიტყვებზედ გამოხვია ნაბადში, აიყვანა ხელში და გავარდა გარეთ, სადაც შეკაზმული ცხენი იდგა; ერთს წამზედ მოაჯდა ცხენს, შემოისვა ქალი უკან და სწრაფად მოჩვენებასავით განქრა სივრცეში, ვინ იცის საითკენ!

ამ შემთხვევის მეორე დღეს, სოფელი ს—ის სასტუმროში ერთი ალიაქოთი იყო. ხალხი შედიოდა და გამოდიოდა, ყველანი ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდენ, ლაპარაკობდენ და რაღაზედაც ჩოჩქოლობდენ: «მოკლეს, მოჰკლეს» ისმოდა განუწყვეტლივ.

— ვინ მოჰკლეს? იკითხა ახლად მოსულმა.

— აი დიანბეგი იყო, თუ პრისტავ «აპრაკუნე».

— ვინ მოჰკლა?

— აბა რაი ვიცი,—მიიღო პასუხად.

ა. მოჩხუბარიძე.

(დასასრული *)

*) ოდესმე და სადმე მკითხველს შევატყობინებთ ციციას მომავალ ბედზე.

ავტ.

ვიდა აქ იქაური რუსეთის ელჩი, თავადი ორლოვი, და საღამოზედ ფრიდრისრუეში წავიდა ბისმარკის სანახავად.

**პეტერბურგი.** ქალაქის უფროსის კანცელიარიაში რომ საზოგადო წესის დაცვის განყოფილება იმყოფება, წარსულს ღამეს ამ განყოფილების გამგე ჟანდარმების პოდპოლკოვნიკი სუდეიკინი მოჰკლეს ერთს გოხნარის ქუჩის სადგურთაგანში, და სასიკვდილოდ დასჭრეს ჩინოვნიკი, რომელიც მას თან ახლდა.

**ოდესსა.** გრაფი იგნატიევის წინადადებისა გამო, აქ წესდდება რუსეთის მრეწველობის და ვაჭრობის დამხმარებელი საზოგადოების განყოფილება.

**კიევი.** 13 დეკემბერს კიევის ოლქის სამსჯავროში გაირჩა საქმე ქალაქის ურთიერთობრივი საკრედიტო საზოგადოების ნაკასირალის სვირიდოვისა, ვაჭრის ქალი-შვილის კოზლოვსკისა და ვაჭრის შვილის პატალეევისა, სვირიდოვს ბრალდებოდა 265,000 მანათის დახარჯვა, ხოლო უკანასკნელთ დამალვა 20,000 მანათისა, სამსჯავრომ, თანახმად ვერდიკტისა, ყველა დამნაშავენი გაამართლა და დაადგინა სვირიდოვს გადაჰხდეს შემოხარჯული ფული.

**ლონდონი.** სონტაისთან ბრძოლის დროს მძიმედ დაიჭრა შავი დროშების წინამძღოლი ლიაუფონგი; იმის ამხანაგი მოჰკლეს; ბაკნინგზე მხოლოდ მაშინ მივლენ, როდესაც მოშველე ჯარი მოუვათ.

**ზაგრები.** ყოფილი სამხედრო სამზღვრის დეპუტატებმა შეიტანეს ხორვატიის სეიმში დეკლარაცია, რომლითაც ხელმწიფეს ერთგულებას უცხადებენ და სახელმწიფო ორგანიულ კანონთ ემორჩილებიან, მაგრამ ამასთანავე თხოულობენ, რათა სამხედრო სამზღვარი გათანასწორებულიყოს იმპერიის დანარჩენ მაზრებთან.

18 დეკემბერს.

**პეტერბურგი.** ჩვენი ელჩი წინაშე ბერლინისა საბუროვი პეტერბურგში მოვიდა დროებით.

თანახმად გარდაწყვეტილებისა პეტერბურგის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების მმართებლობითი და ზედამხედველი კამიტეტის შეერთებული გამგეობისა, კომიტეტის თავ-მჯდომარემ სთხოვა ფინანსთა მინისტრსა, რათა მმართებლობამ რევიზია უყოს საზოგადოების კასასა. მალე იქნება ეს რევიზია.

სდგება პროექტი, რომელიც თხოულობს იმ კანონდებათა გარდახილვას, რომელნიც საპატიო მოქალაქეთ შეეხებიან.

**ბრიუსელი.** აღკრძალულია რუსეთიდამ და ბალკანის ნახევარკუნძულიდამ რქიანი საქონლის და ცხვრების აქ მორეკა და ბელგიაზე გატარება.

**ლონდონი.** «რეიტერის სააგენტოს» გაიფონგიდგამ სწერენ ტელეგრაფით, რომ ფრანცუზებს სონტაის აღების დროს დაეღუპათ 36 ოფიცერი და 1000 სალდათი, ხოლო შავ დროშებს 6000 კაცი.

**პარიჟი.** სონტაის აღების შემდეგ, სადაც დიდ-ძალი გარნიზონი დააყენეს, კურბე ხანოიში დაბრუნდა; ყოველ ღონის-ძიებას ხმარობენ წითელი მდინარის დელტა განსწმინდონ ფირალებისა და მოამბოხეთაგან; იმის შესახებ, თუ როდის მივლენ ფრანცუზები ბაკნინგზე და როდის გამოვლენ კუნძულზე ხაი-ნანზე, ჯერ არაფერი იციან.

---

# განცხადებანი

**ინგირის** მურაბის ბანკა 85 კაპ., მშვენიერი აპელსინის მარმელადი ქილა (5 გირ.) 1 მან. 30 კ., ტყლაპი ხმისთვის და ხველებისთვის გირვანქა 80 კ., ინდიური ბრინჯი 6 კ., ფინჯნები ლამბაქებითა დუჟ. 2 მ. 40 კ.-დამ, წისქვილები ყავისთვისა 1 მანათიდამ, ბეზმენი სასწორი 1 მან. 25 კ.-დამ, საოჯახო სასწორი 5 მ.-დამ, **ინგლისის მაღაზიაში.** აქვე იყიდება ძალიან იაფად: ჩაინიკები, ფოდნოსები, პრიბორი და სხვა საქონელი ბრიტანიის მეტალისა, ფანრები, უთუოები, ჟინაგირები; კლეონკები და სხ. მზის საათი და ხელოვნებითი ყვავილები შუშის კოლპაკებით **ნახევარ ფასად** იყიდებიან. (8—1)

---

# პ. წულუკიძის სტამბა

ქეთაისში

იბეჭდება და გამოვა 15 დეკემბრისათვის ქართული «კედლის კალენდარი», სადაც იქნება სომხური დღესასწაულების ცნობები და ისტორიული შემთხვევები.

ფასი სამი აბაზი

ას-ასობით მყიდველებს წესიერი პატივი.

—

იყიდება

«ვეფხის ტყაოსანი» შ. რუსთაველის თხზულება სურათით, ათი შაური, უსურათოდ შვიდი შაური ას-ასობით მყიდველებს წესიერი პატივი. (30—8)

---

**ტფილისის ეპარქიალური სანთლის ქარხნის კამიტეტი.**

მისის მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობის, საქართველოს ექსარხოსის ნება-რთვით მოიწვევს მომავალის წლის იანვრის 25 რიცხვისთვის მსურველთა, იჯარით აიღონ წმინდა კომტი სანთლის გათეთრება და მისი ჩამოსხმა. კამიტეტისგან მხოლოდ მოსამზადებელია ცვილი, პატრუქი და ვარაყი.

დაწვრილებით პირობებზედ მოსალაპარაკებლად 25 იანვრამდინ, ყოველ დღე შეუძლიანთ მსურველნი მობძანდენ ხოლმე, თვით ეპარქიალურ წმინდა სანთლის ზავოდში სინოდალური კანტორის ეზოში. (3—3)

---

4,000 თეფში 1-ს სორტისა, ორი მანეთი დუჟინი! დანები ჩანგლებით, ჩაი 1-ი მოკრეფისა, მშვენიერი, 1 მან. 60 კაპ.; ხველების კანფეტები და მურაბა სხვა-და-სხვა სორტებისა, ესსენცია კაკაოსი, პიკულები, თოფები, რევოლვერები, ფლანგელები და სხ. ბევრი **ინგლისის მაღაზიაში,** აგრეთვე ყოველთვის ინგლისური და ფრანცუზული რკინის კრაოტები და სხვა საქონელი 307. უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე. (8—4)

---

**დოქტორი კორში.**

ილებს ავად-მყოფებს დილის 9 საათიდამ 12-მდე და საღამოთი 5 საათიდამ 7 საათამდე. ავლაბარი, ვარდის მოედანი, (Розовая площадь) სახლი № 3. (3—2)

---

**ინგლისური რკინის კრაოტები**



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდის. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25⁰/₀-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, სამარილე, ჩაისა და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფაიფური, დასადგმელი, პირისსაბანი, სტაქნები, სუფრის ჭიქები, საწყაოები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური, თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩეცის საფხეკები, ჟინაგირები კაცისა და ქალისა, აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბავშო მაკრატლები, ჯაჭვები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიკები, ზარიადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, კატერპრუფები, საბნები, ჩუსტები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკიტონები და სხ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—33)

---

გრიგუროვის წიგნის მაღაზიაში, ლოხდოხის გასტინიცის ქვეშ, იყიდება წმ. ნინა მოციქულის სურათი ოლეოგრაფიული 50 კოპეიკათ, რომლისა ფასი წმ. ნინას საფლავს ეხმარების. (10—5)

---

# СЪ 1-го ЯНВАРЯ 1884 ГОДА

ВЪ ТИФЛИСѢ БУДЕТЪ ИЗДАВАТЬСЯ

НОВАЯ ЕЖЕДНЕВНАЯ (350 НУМЕРОВЪ ВЪ ГОДЪ) ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКАЯ

## ГАЗЕТА

# „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ"

подъ редакціею А. В. СТЕПАНОВА (бывш. редакторъ «Юрид. Обозр.»)

Объемъ газеты — печатный листъ средняго формата; программа — общая всѣмъ литературно-политическимъ ежедневнымъ изданіямъ.

Подписная цѣна съ пересылкою и доставкою: на годъ — 10 руб.; на 6 мѣс. — 6 р., на 3 мѣс. — 3 р. 50 к., на 1 мѣс. — 1 р. 50 к.

Подписка (городская и иногородная) и объявленія (по 5 коп. за строку петита) принимаются въ Тифлисѣ исключительно въ Газетномъ Агентствѣ В. Шавердова; въ С.-Петербургѣ-же и Москвѣ — въ книжныхъ магазинахъ «Новаго Времени».

Временное (до 15-го декабря) помѣщеніе редакціи: Давидовская ул., д. Кананова, квартира редактора.

За газетой обезпечено постоянное сотрудничество: кн. К. А. Бебутова, Вс. М. Гаршина, П. А. Измайлова, С. Н. Кривенко, Н. Я. Николадзе, П. А. Опочинина, А. Н. Плещеева, И. Ф. Тхоржевскаго, Гл. И. Успенскаго, Н. А. Шаврова. (20—14)

*Дозв. ценз. Тифлисъ, 19 Декабря 1883 г.* ექ. ხელაძის სტამბა (*Типографія Е. Хеладзе*). გამომცემელი ნ. ძართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.